შაბათი, 1917 წ. მკათათვის 29 (11) წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почтовый ящикъ № 718. Тифлисъ, „Сакартвело".
ტელეფონი რედაქციისა და კანტორისა 15--73

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდელი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით [illegible] თვით (მხოლოდ თბილ. სში) [illegible] 10 კ. პ. განცხადების ფასი სტრ ქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე— 20 კ. პ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მ. ნეთიდან 5—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კ. პ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღია დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 7 საათითან 8 საათამდე.

№ 165 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 165

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

რიგის გარნიზონის უფროსი აცხადებს, რომ ქალაქის ევაკუაცია არ მოხდება.
დონის როსტოვში მევენახეთა კრება მოითხოვს, რომ ვენახები, ბაღები და ბოსტნები ცნობილ იქმნან ჩამოურთმეველ საკუთრებად.
მთავრობამ გადასწყვიტა ძალით ჩამოართვას სოფლელებს ზედმეტი სურსათი.
სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობა გაუქმდა.
იწყებენ სრულიად რუსეთის მედვინეთა ყრილობას.
პეტროგრადის ქარხნებში საერთო გაფიცვას აპირებენ.
ადესაში ზომებია მიღებული რეაქციონერთა წინააღმდეგ.
რუსის ჯარი ბუკოვინას სცლის.
ბესარაბია უკრაინიდან გამოყოფას და ავტონომიას მოითხოვს.
ავსტრიის იმპერატორი რუსის ფრონტს ათვალიერებს.

### წერილები

მეთაური. სომხეთის „გასომხების" პროექტი.
გ. გვაზავა. საქართველოს თავი.

წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
**თბილისის განყოფილების გამგეობა**
აუწყებს წევრებს და საზოგადოებას განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის
**ანასტასია ალექსანდრეს ასულის**
**კნ. მაჩაბელის**
გარდაცვალებას.
გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან და დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე მოხდება შაბათს, 29 ივლისს.
1—734—1

კნ. ელენე ივანეს ასული და თავ. ნიკოლოზი ივანეს ძე მაჩაბლები, კნეინა ნინო ალექსანდრეს ასული წერეთლისა და თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დაუვიწყარ კნეინა
**ანასტასია ალექსანდრეს ასულის**
**მაჩაბლის**
გარდაცვალებას.
პანაშვიდი საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა და აწდიძი იქვე. დასაფლავება შაბათს ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზედ.
2—732—1

საზოგადოება „იმედი"-ს გამგეობა დიდის მწუხარებით აუწყებს თვის წევრთ, რომ გარდაიცვალა გამგეობის წევრი
**ანასტასია ალექსანდეს ასული**
**კნ. მაჩაბლისა**
1—736—1

კვირას, მკათათვის 30 ს, დღის 12 საათზე
**კნ. ეკატერინა ირაკლის ასული**
**რატიშვილის**
გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების გამო, ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში ლიტურგიის შემდეგ გადახდილ იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ კნეინა თამარ დავითის ასული გრუზინსკისა, კნეინა ელისაბედი ირაკლის ასული და თავადი მაკარი ივანეს ძე ჯამბაკურ ორბელი ნები შვილებითურთ.
1—733—1

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

### გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში!

# ქართველნო მოქალაქენო!

### მიეცით ხმა საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას!

# № 2.

## ქართველნო მოქალაქენო!

### ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას

მიზნად აქვს სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენა საქართველოში და დამყარება მაში დემოკრატიულ რესპუბლიკისა.

იგი მოითხოვს ვრცელ უფლებიან ავტონომიას სრულიად საქართველოს საზღვრებში.

იგი იცავს თავისუფლებას და თანასწორობას ყოველ მოქალაქესათვის განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ერთად-ერთი არა-სოციალისტური ეროვნული პარტიაა საქართველოში:

იგი იცავს კერძო საკუთრებას, რადგანაც კერძო საკუთრება—საფუძველია თავისუფლების, თაოსნობის და შემოქმედებისა, მაშასადამე, საფუძველი ერის სიმდიდრის და განვითარებისა.

იგი იცავს მშრომელ ხალხს, სოფლისას და ქალაქისას, ვინაიდგან ყოველი მუშა—შემოქმედი ნაწილია ეროვნული ორგანიზმისა.

იგი იცავს შრომას, ვაჭრობას და მრეწველობას, რომ ცხოვრების ყოველ დარგში აღიძრას და დატრიალდეს ეროვნული ენერგია და მისი ნაყოფი დარჩეს ისევე საქართველოს.

დროა მოისპოს ქართველი ერის ძარცვა და ყვლეფა, მონობა და ექსპლოატაცია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ჰქადაგებს ერთობას და ებრძვის ყოველგვარ გამთიშველ ძალებს.

იგი არ იზიარებს სოციალისტურ მოძღვრებას და მოქმედებას და ებრძვის კლასთა ბრძოლის გამწვავებას, ვინაიდგან ეს გამწვავება ჰღრღნის ერთობას, ასუსტებს ძალებს, ჰშლის და არღვევს ეროვნულ ორგანიზმს. ჩვენ გვინდა ერთობა და არა ერთმანეთის მტრობა. ეხლანდელ ისტორიულ მომენტში შინაური განხეთქილება საშიშია და სახიფათო უიმისოდაც დასუსტებულ საქართველოსათვის.

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კარგად ჰხედავს, რომ საქართველოს** გარს ახვევია უცხო ერები და ჰსცდილობს დაამყაროს მათთან კეთილი განწყობილება მორიგებით და შეთანხმებით.

ქართველნო მოქალაქენო! მოახლოვდა თბილისის არჩევნებიც.

თბილისი—დედაქალაქია საქართველოსი.

მისი მოწყობა და გამშვენიერება პირდაპირი და წმიდა ვალია ყოველი მამულიშვილისა.

წყალი, პური, ქუჩა, ბაზარი, ბინა, სანოვაგე, მიმოსვლა, განათება და განათლება... ერთის სიტყვით ქალაქის მოთხოვნილება ათასფერია და ათასნაირი. ეს მოთხოვნილებანი უნდა იქმნას დაკმაყოფილებული, თბილისი უნდა დაედაროს ნივთიერ და კულტურულ მოწყობილებით საუკეთესო ევროპიულ ქალაქს, ვინაიდან თბილისი, როგორც დიდი ცენტრი, იზიდავს მრავალ მშრომელ ხალხს, რომლის სულიერი და ნივთიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა იყოს უმთავრესი მიზანი დემოკრატიულ პარტიის მუნიციპალურ პროგრამისა.

მაგრამ ქართველ კაცისთვის ქალაქის არჩევნებში, გარდა მუნიციპალურ მოთხოვნილებისა, კიდევ არის სხვა აზრი უფრო ღრმა, უფრო მწვავე და საბედისწერო.

თბილისში ბევრია საქართველოს მშრომელი ხალხი, თბილისს გარს ახვევია ქართველი ერი. თბილისი ცენტრია ნივთიერი და სულიერი მთელი საქართველოსი. მაში ჰდუღს და მიმდინარეობს განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა არა მარტო ნივთიერ ნაწარმოებისა, არამედ აგრეთვე აზრის და გრძნობისა, ნების და სულის კვეთებისა, თბილისი და საქართველო მოქცეულია ერთ და იმავე ეროვნულ ცნობიერებაში: აქ არის კვანძი მთელი ერის ნერვიულ სისტემისა.

თბილისის დაკარგვა—თავის მოჭრაა... მაშასადამე სიკვდილი მთელი ქართველი ერისა

ქართველნო მოქალაქენო! ჩაუკვირდით ამას და თუ ცოტათი მაინც შეგრჩენიათ ქართული სული, ადექით, გამოდით სახლიდან და მიიღეთ მონაწილეობა კვირას, 30 ივლისს, ჩვენი დედაქალაქის არჩევნებში.

**მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას.**

**№ 2.**

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის
**მთავარი კომიტეტი**

## საქართველოს ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია.

1. **ჟურული** გიორგი დურმიშხანისძე—ქალაქის ხმოსანი. ქალაქის საბჭოს წევრი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი.
3. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი.
4. **ქიქოძე** გერონტი დიმიტრის ძე—პუბლიცისტი.
5. **ვეშაპიძე (ვეშაპელი)** გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი.
6. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
7. **ლორთქიფანიძე** იასონ მერაბის ძე—ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
8. **გოთუა** პართენ ალექსანდრეს ძე—სამეურნეო ბანკის დირექტორი.
9. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე—ჟურნალისტი, კოოპერატორი.
10. **ივანიცკი** რაფაელი ალექსანდრეს ძე—(**რ. ინგილო**) სამართლის კანდიდატი.
11. **ბერელაშვილი** ვასილ გერასიმეს ძე—კომერსანტი.
12. **ასათიანი** ალექსანდრე სამსონის ძე—ჟურნალისტი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
13. **წვერავა** ნიკოლოზ ესტატეს ძე—ხმოსანი ქ. თბილისის.
14. **ქურდიანი** გიორგი ზაქარიას ძე—ინჟინერი.
15. **თაყაიშვილი** ექვთიმე სიმონის ძე—ისტორიკოსი, თავმჯდომარე საქ. საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებისა.
16. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე—ექიმი.
17. **მამრაძე** პეტრე გრიგოლის ძე—ინჟინერ-ტეხნოლოგი.
18. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე—ექიმი.
19. **გაბაშვილი** ლეონიდე ალექსანდრეს ძე—კოოპერატორი) ჟურნალისტი.
20. **თუმანიშვილი** პავლე იოსების ძე—ნაფიცი ვექილი.
21. **მაჭავარიანი** გიორგი ლუარსაბის ძე—ნოტარიუსი.
22. **ერისთავი** დომინიკა ზურაბის ასული—(**განდეგილი**, —მწერალი.
23. **ჩიჯავაძე** თამარა დავითის ასული—მასწავლებელი.
24. **დუმბაძე** დიმიტრი მოსეს ძე—პედაგოგი.
25. **გუნცაძე** ირაკლი ალექსანდრეს ძე—ნაფიცი ვექილი.
26. **ქვარიანი** სიმონ ალექსის ძე—აგრონომი.
28. **გაბუნია** სილოვან გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
29. **კახიძე** ვასილი ბესარიონის ძე—ხარჯთა კრეფის ინსპექტორი.
30. **გველესიანი** იოსებ იოსების ძე—კომერსანტი.
31. **მერკვილაძე** იოსებ ნიკოს ძე—„თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარე".
32. **თიკანაძე** ივანე ელიზბარის ძე—ექიმი.
33. **მაღალაშვილი** ივანე გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
34. **ვაჩნაძე** ლევან ალექსანდრეს ძე—ხმოსანი (ქალაქის)
35. **მერკვილაძე** ნოშრევან ნიკოლოზის ძე—ხელოსანი
36. **ბერძნიშვილი** ივანე სიმონის ძე—ხელოსანი.
37. **ივანიცკი** ვახტანგ აპოლონის ძე— მთის ინჟინერი.
38. **ხახუტაშვილი** ნიკოლოზ ანტონის ძე—ვაჭარი.
39. **ბარატაშვილი** ვასილი ავთანდილის ძე—ბუღალტერი.
40. **ჭუონია** სვიმონ შერვანდინის ძე—კომერსანტი.

# ქართველნო ამომრჩეველნო

### ვინც თბილისიდან გასული ხართ დაბრუნდით თბილ. სში.

# ამ თვის 30-ს კვირას საქალაქო არჩევნებია

### არ დაგეიკარგოთ თქვენი ხმა;

შეიძლება ერთი ხმის დაკარგვამ ქალაქს დააკლოს ერთი ქართველი ხმოსანი

გულდამწუხარენი: დედა ანასტასია სოლომონის ასული, მეუღლე სოფიო ვასილის ასული, ძმები: ალექსანდრე და ივანე სოლომონის ძენი მეუღლეებით, დები: ბარბარე და მარიამ სოლომონის ასულნი, სიმამრი ვასილ გიორგის ძე მეუღლით, ცოლის ძმა მიხეილ ვასილის ძე მეუღლით, ქვისლები: არჩილ არტემის ძე კერესელიძე მეუღლით, მიხეილ იორდანეს ძე იმედაძე მეუღლით და ცოლის და თებრონია ვასილის ასული, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 ივლისს იქნება გადახდილი წლის წირვა მათი დაუვიწყარი

მელიტონ სოლომონის ძის

მექერიშვილის

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება, ანჩისხატის სობოროში, დილის 10 საათზე, პანაშვიდი—12 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1—735—1

**თბილისი, მკათათვის 29.**

# სომხეთის „გასომხების" პროექტი

დამონებულ ერთა სახელმწიფოებრივობის აღდგენას ყოველთვის ერთი და იგივე გარემოება სდევს თან ხოლმე. რა უნდა ვყოთ სხვა და სხვა ხალხით აჭრელებულ ტერიტორიას, სადაც მკვიდრი ერის ბუნებრივ, ეკონომიურ და ისტორიულ უფლებას ჩამოსახლებულ უცხოელების ეთნოგრაფიული უფლება ეწინააღმდეგება.

ასეთ მდგომარეობაშია განსაკუთრებით ჩვენი მეზობელი ოსმალეთის სომხები. ბუნებრივი და ისტორიული სომხეთი ნახევარზე მეტად არა სომხებით, თურქებით არის ჩასახლებული.

სწორედ ეს გარემოება არის, სომხეთის ავტონომიის განხორციელებას რომ უშლის ხელს.

ოსმალეთის სომეხ-ნაციონალისტთა ორგანო „ვან ტოსპი" ცდილობს რადიკალური ზომები გამონახოს ამ საკითხის სასურველად გადაწყვეტისათვის.

„ვან ტოსპი"-ს აზრით საუკეთესო საშუალებაა ის, რომ სომხეთში ჩამოსახლებული თურქები თავის ბუნებრივ სამშობლოს, დასავლეთ ანატოლიას დაუბრუნდენ, მხოლოდ—„ასეთ მასიურ გადასახლების საშუალებით თუ შეიძლება პატარა ერების „თვითგამორკვევის" განხორციელება ოსმალეთშიო;—დაასკვნის პატივცემული ჟურნალი.

ჩვენ, ქართველ ნაციონალ-დემოკრატებმა, სხვა საშუალებაც ვიცით უცხოელ ჩამოსახლებულთა საკითხის გარდაწყვეტისათვის—ეს არის უცხოელთა ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფა ამა თუ იმ ქვეყნის მკვიდრი პატრონი ერის კონსტიტუციით მაგრამ, რადაი რეცეპტებზე მიდგა საქმე—გავყვეთ „ვან-ტოსპის" მედიკურ მეთოდს, რომელიც ბალკანეთის ერების გამიჯვნის ისტორიიდან არის ნასესხები და შევეკითხოთ სომეხ-ნაციონალისტების ლოღიკას: რას იტყვის „ვან-ტოსპი", თუ მისივე რეცეპტით იხელმძღვანელებენ არა მარტო ოსმალეთის, არამედ კავკასიის ერთა პოლიტიკურ-ტერიტორიალურ გამიჯვნის დროს. გამოდგება თუ არა მაგალითად „ვან-ტოსპის" რეცეპტი აღმოსავლეთ საქართველოს აჭრელებულ განაპირათა „გაქართველებისათვის"?

# საქართველოს თავი

*თბილისი თავია საქართველოსი. მისი დაკარგვა—თავის მოჭრაა...*

საკვირველია თვით ბუნება უსულო და უჰასაკო.

როგორ უვლის იგი „თავს", როგორ ასაზრდოებს, როგორ იცავს!

ვერც კი ჩამოსთვლი იმ სხვა და სხვა ნაქსოვებს, რომლითაც ჰფარავს იგი კაცის ტვინს. მაზე გადაწნული უთვალავი ძარღვები თითქო დახლართული მავთულებია ბრძოლის ველად, ნაქსოვები და სითხენი თითქო თავისებური კედლებია ტვინის გარე შემორტყმული.

მერე—ძვალია თავის ქალა. ეს მართლა ნამდვილი კედელია, ნამდვილი ქვიტკირი, მტკიცე და შეუვალი.

ეს კიდევ რაა?

გასინჯეთ თმები! რა საკვირველი სურათია, რა საკვირველი პოემა საიდუმლო პატრიოტიზმისა!

თმები—ათი ათასი ჯარისკაცია, რომელიც მუდმივ დარაჯად გარს ახვევია კაცის თავს.

თმები ჩუმად არიან, წვანან დავარცხნილები, თითქო არაფრის მაქნისი არ არიან, მაგრამ აბა შეეხეს ერთი ბეწვი—თმა მაშინვე შეირხევა, შეარყევს თავის ძირს, ძირი კიდევ რაღაც საიდუმლო ძაფებს და მიჰქრის თავისებური დეპეშა ნერვ ული ცენტრისაკენ: „ფრთხილად, რაღაც შემეხო".

უეცარი შიში თავდაპირველად აღვიძებს ამ დარაჯებს: თმები ერთბაშად აიბურძგნებიან ხოლმე. მერე კაცის საქმეა მიიღოს ღონისძიება თავის დასაცველად.

აი რას სჩადის ბუნება; ბუნება უსულო და უჰასაკო.

ჩვენ?

ჩვენ—მამულისშვილები? ნუთუ უნდა ჩამოვრჩეთ უსულო და შეუგნებელ ბუნებას?

ჩვენ ათასოთხასი წელი ვიცავდით ჩვენი ეროვნული ორგანიზმის თავს—ქ. თბილისს.

კრწანისის ველზე ჯერ კიდევ არ გაცივებულა ქართველ მეომრების ძვლები.

იქ არ იყვნენ არც რუსები, არც სომხები...

ნუთუ იმისთვის იწურებოდა საცოდავი საქართველო სისხლით და ოფლით, რომ ბოლოს და ბოლოს თბილისი სხვას დარჩენოდა?!

რა პასუხს გავცემთ ან წარსულის ლანდებს, ან მომავალს?!

ნუთუ არ გაუვლის ყველას გულში საიდუმლო ჟრუანტელი და ხვალ, კვირას, მთელი ქართველობა არ აიბურძგნება როგორც თავზე თმები თავის ცენტრის დასაცველად?!

ქართველებო! დარაზმულად, დინჯად მიდით საარჩევნო ყუთთან!

გახსოვდეთ სია № 2.

გიორგი გვაზავა.

# რუსული პრესა

**რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერები და კავკასია.**

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა ცენტრალი კომიტეტის ორგანო „Дѣло Народа" სწერს:

ამიერ-კავკასიაში მდგომარეობა კვლავ გართულდა და მთელ მხარეს ანარქიით ემუქრება. თბილისში ოფიციალი დაწესებულებანი ყოველ დღე ღებულობენ თავიანთ წარმომადგენლებისაგან ცნობებს ქურდთა თავდასხმისას მშვიდობიან მცხოვრებლებზე, სურსათის ტრანსპორტებზე, სანიტარულ და სამხედრო ნაწილებზე და აგრეთვე მკვიდრთა ქარავნებზე.

რიცხვი ასეთნაირი დეპეშებისა ერთი თვის განმავლობაში, ესე იგი თიბათვის 10 დან მკათათვის 10 მდე, აღწევს 50-დე. ამავე დროს ყაჩაღობა და ანარქია ვრცელდება აგრეთვე ერევნის და განჯის გუბერნიებში. ეს ყაჩაღობა ისე საშიშ სახეს ღებულობს, რომ ამის შესახებ ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე საგანგებოდ იყო მსჯელობა.

გლეხთა ყრილობაზე დიდი აურზაური ხდებოდა. მოლოდინის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატებმა ბლოკით შეეკრენ თათართა წარმომადგენლებს და სასტიკი იერიშით წავიდენ სომეხ სოციალ-რევოლუციონურ პარტიის დაშნაკცაკანების წინააღმდეგ.

თათართა შორის არც ერთი სოციალისტური პარტია არ არსებობს და თათრის გლეხობა, როგორც ყველაზე უფრო შეუგნებელი ნაწილი კუთხის, იმყოფება თავიანთ ბეგების გავლენის ქვეშ.

და აი შეეკრენ რა კავშირით თათართა წარმომადგენლებს, სოციალ-დემოკრატებმა ხმის უმრავლესობით გაიყვანეს თავიანთი სააგრარო პროგრამა, თუმც ადგილობრივ ყრილობებზე ერევნის და ყარსის გუბერნიებში ისინი დაშნაკცაკანებთან ერთად მოითხოვდენ „მიწის სოციალიზაციას".

დაშნაკცაკანებთა შეკითხვაზე, თუ რამ აიძულა სოციალ-დემოკრატები შეეკრათ ბლოკი თათრის ბეგებთან, ქართველთა სოციალ-დემოკრატების ორგანომ „ერთობამ" უპასუხა, რომ მათ ეს ჩაიდინეს მიტომ, რათა მომავალში თავიდან აეშორებინათ თათარ-სომეხთა ჟლეტა, როგორც ეს მოხდა 1905 წელს.

დღეს კულტურულმა ქვეყნიერობამ იცის, რომ სომეხ თათართა ჟლეტა მოწყობილი იყო დამხობილი მთავრობის მიერ და იმ მოსაზრებით, რომ ამითი მოესპო რევოლუციონური მოძრაობა კავკასიაში. აი ამას არ უნდათ გაუწიონ ანგარიში კავკასიის სოციალ-დემოკრატებმა და რაღაც უცნაურ გაუგებრობით ბოროტებას ეძებენ იქ, სადაც არ არის.

დაშნაკცუტუნის პარტიას ნდობით ეპყრობა არა თუ სომხები, არამედ თათრის ხალხის ნაწილიც. ეს არ არის ს.-დემოკრატების მომავალ მოქმედებისათვის სასარგებლო, და ამიტომაც ისინი წინდაწინ იჭერენ თავდარიგს, ცოტათი სარისკოს, თავიანთ მოპირდაპირეთა წინააღმდეგ.

პარტიული კინკლაობა კვლავ გრძელდება კავკასიაში. პოლიტიკური პარტიები ვერ შეთანხმდენ კონტრ-რევოლუციონერთა წინააღმდეგ.

ერების უნდობლობა ერთი-მეორისადმი შავი ელემენტების წყალობით, რომელთა შორის მრავალი მტრის ჯაშუშიც ურევია, კვლავ გრძელდება. ამას ხელს უწყობს თათართა და ქურთთა ყაჩაღების თარეში. საშიში ღრუბლები კავკასიის ჰორიზონტზე კარგს არაფერს მოასწავებენ.

რას იტყვიან ამაზე ჩვენებური სოც.-ფედერალისტები, რომელნიც ასეთს დიდს იმედებს ამყარებენ „მონათესავე" რუსულ პარტიის პოლიტიკაზე?

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 26. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, საარტილერიო და სანაღმო ცეცხლის შემდეგ მტერმა სოფ. სემერინკის რაიონში ჩვენს ასპარეზზე იერიში მოიტანა. ის იყო უნდა დაეჭირა კიდეც მისი ნაწილი, მაგრამ ჩვენ ჯარი მოგვეშველა და მტერი განვდევნეთ. ბროდის მიმართულებით ბოლდურის რაიონში მტრის მზვერავთა რაზმმა ხელით სასროლი ყუმბარები დაუშინა ჩვენს თხრილებს. მალე დაიჭირა კიდეც, მაგრამ კონტრ-იერიშით მდგომარეობა გავიუმჯობესეთ და მტერი გავდევნეთ. ზბორუჟის დასავლეთით, სოფ. ივაჩუვის რაიონში მტერმა ჩვენს მოდარაჯეთ უკან დაახევინა. მდ. ზბრუჩის შესართავის რაიონში ჩვენები ენერგიულ შეტევაზე გადავიდნენ. ცხარე ბრძოლის შემდეგ მტერს სოფ. ზარიაშკოვცი და ვიგოდა დააცლევინეს. მტერმა დასტოვა აგრეთვე ამ უკანასკნელ სოფლის სამხრეთ დასავლეთით მის მიერ დაჭერილი სიმაღლეები. წამოვიყვანეთ ტყვედ 7 აფიცერი და 300 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიისმფრქვეველი. სერეტის ჩრდილო-დასავლეთით სოფ. ვასკოუტცი-ოპრიჩენის ფრონტზე ჩვენებმა მტრის იერიშები მოიგერიეს. სერეტის სამხრეთ-დასავლეთით მტერი თხრილებში შემოგვეჭრა, მაგრამ კონტრ-იერიშით იგი განვდევნეთ. დანარჩენს ფრონტზე სროლა და აზვერავთა მოქმედებაა.

**რუსის ჯარმა კვლავ დაიხია.**

**რუმინეთის ფრონტი.** მკათათვის 26. კიმპოლუნგის გზატკეცილსა და მთა ლია-მუნტელლეს შუა მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა. ზოგიერთა პოლკებმა მთლად შეალიეს პატრონები და ხიშტებითა და ქვებით ლა იგერიებდნენ მტერს. მტერმა გემინეს დასავლეთით და სოჩის სამხრეთ დასავლეთით ორი სიმაღლე დაიჭირეს. მკათათვის 25 ს ღამით ჩვენი ჯარი კიმპოლუნგის გზატკეცილის ორსავ მხრიდან აღმოსავლეთისკენ წამოვიდნენ. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ფოკშან-მერეშჩის რკინის გზისა და მდ. სერეტს შუა მტერს გაცხარებული იერიშები მოჰქონდა. ჩვენებმა ბისიჩესჩის ჩრდილოეთით დაიხიეს. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

**ქურთების თავდასხმა.**

**კავკასიის ფრონტი.** ხოშაბის რაიონში (ვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 ვერსზე) ჩვენებმა ქურთების ურდო გაჰფანტეს. გიზი გიავჩის დასავლეთ რაიონში (ურმიის დასავლეთით 80 ვერსზე) მოხალისე აისორების რაზმებმა ქურთების ურდო გაჰფანტეს. მოჰკლეს 64—ტყვედ წამოიყვანეს—10. დანარჩენს ფრონტზე სროლაა.

**რიგის რაიონში კვლავ ბრძოლა დაიწყო.**

**რიგა.** მკათათვის 25. უკანასკნელ სამი დღის მყუდროება საარტილერიო გრგვინვამ დაარღვია. ალაგ-ალაგ მზვერავთა შეტაკებაც ჰხდება. დღითიდღე საჰაერო ბრძოლაც მატულობს. გამოჩნდნენ „ცეპელინები"-ც. ხმებია მტერი აქტიურ ოპერაციებისთვის ემზადებაო. ჩრდილო ფრონტის კომისარ სტანკევიჩმა გენერალი რადკო დმიტრიევი ინახულა. კომისარმა დროებით მთავრობის სახელით მწუხარება გამოუცხადა, რომ ავადმყოფობამ ამ საჭირო დროს დაატოვებინა ლაშქარი. რადკო დმიტრიევმა უპასუხა, რომ კარგად გახდომის პირველ დღეებიდანვე რევოლუციონურ ჯარს დაუბრუნდებაო.

**რუსეთის ფრონტი.**

**მომქმედი ჯარი.** მკათათვის 24. მდინარე სტოხოდზე ჩვენი მზვერავების მოქმედებაა. ქალაქ ბროდის სამხრეთით მტერი სცდილობდა, ჩვენს დამარცხებას. საღამოთი გერმანელთა ზარბაზნები ყუმბარებს უშენდნენ სუხოდოლის მიდამოებს. ნახევარ საათის შემდეგ მტრის ქვეითა ჯარი იერიშით წამოვიდა. ჩვენ მათ ცეცხლით ვუპასუხეთ და გერმანელთა რაზმები ბრძოლის ველზე დაწვნენ. ღამე ჩვენ გერმანელები იძულებული ვყავით თავიანთ სანგრებს დაბრუნებოდნენ. 22 მკათათვეს მტერმა ქალაქ რადაუცის მიდამოებში იერიში მოიტანა და ჩვენებმა ცოტათი უკან დაიხიეს. დღეს ბრძოლა ხდებოდა რადაუციდან ორი ვერსის დაშორებით. მდგომარეობის აღსადგენათ გაგზავნილ იქმნა ცხენოსანთა რაზმი. მტერი სცდილობს ქალაქ სერეტის იერიშით აღებას, რათა შემდეგ სამხრეთისაკენ გამოეშუროს. რადაუცის ქუჩებში სასტიკი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული. მცხოვრებლებმა გაქცევით უშველეს თავს.

**რიგელების ტყუილი შიში.**

**რიგა.** მკათათვის 25. გარნიზონის უფროსი აცხადებს, რომ ხმები ვითომც რიგას მტრისაგან საფრთხე ელოდეს სიმართლეს მოკლებულიაო.

**ტერეშჩენკო ბანაკში გაემგზავრა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 24. გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო და რუმინეთის ელჩი ბანაკში გაემგზავრნენ.

**ფლოტის შტაბის უფროსის დანიშვნა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 25. კონტრ-ამირალი სამლინი ფლოტის შტაბის უფროსად დაინიშნა.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა გერმანელების 5 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს, დააზიანეს—3. ჩვენ 1 ჰაეროპლანი გვაკლია.

**გერმანელთა წყალქვეშა.**

**ლონდონი.** მკათათვის 25. საამირალო იუწყება: მკათათვის 24. ბილბაოს მახლობლად გერმანელთა წყალქვეშამ ესპანეთის მეთევზეთა ნავს სროლა აუტეხა. მძიმედ დაიჭრა 2 მეზღვაური. ნავი ესპანეთის სატერიტორიალო ზღვაში იმყოფებოდა.

**ლონდონი.** მკათათვის 26. ოფიციალი. დღეს საარტილერიო მოძრაობა სწარმოებდა. სხვა ღირსშესანიშნავი არა მომხდარა-რა.

**აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისელები იმარჯვებენ.**

**ლონდონი.** მკათათვის 26. რინსდენდას რაიონში მიანგაზ-მასსასის მიმართულებით ჩვენ სამხრეთ-დასავლეთისკენ წავიწიეთ და მაიუმბის ნაპირებიდან მტერი განვდევნეთ. დავიჭირეთ ფერმა შედელი. კილვის რაიონში ჩვენ მოინდიემდის მიელით იგი კილვიდან სამხრეთ-დასავლეთით 53 მილზეა დაშორებული. მკათათვის 6-ს კორნგომბესთან დამარცხებულ მტერმა მიხამბიუსკენ დაიხია. რუფიჯის რაიონში ჩვენებმა კიმბაბავესკენ წაიწიეს და მტრის რაზმებს მედენტესკენ ერეკებიან. რიგის რაიონში მტერს მახენგესა და ფაკარისაკენ დავახევინეთ. ბელგიის ჯარი ჩვენ ჯართან ერთად მხენგეს სამხრეთით 53 მილზე დგას. პორტუგალეთის ნიასსალენდაში ჩვენებმა მდ. როვუმადან მტრის ყველა რაზმები განდევნეს. მტერმა, მხოლოდ დუჩილინგის ღელეში და ნიასსის ტბის ნაპირეზე-ღა მოიმაგრა ფეხი.

**გერმანელები მოიგერეს.**

**ლონდონი.** მკათათვის 25. ოფიციალი. მკათათვის 24 დილით თოფისა და ტყვიისმფრქვეველის ცეცხლმა არდენეში გერმანელების იერიში შეაჩერა. ლანსის სამხრეთ-აღმოსავლეთით დღეს ჩვენ წინ წავიწიეთ.

**რუსები ინგლისში.**

**ლონდონი.** მკათათვის 24. რუსეთის გენერალური საკონსულოებს გამოეცხადა, რომ რუსეთის ქვეშევრდომი მამაკაცნი 18—41 წლამდე, რომლებიც იმყოფებიან ინგლისში, უნდა დაბრუნდნენ რუსეთში ჯარში შესასვლელად ანუ უნდა შევიდნენ ინგლისის ჯარში. ვინც 10 აგვისტომდე არ განაცხადებს სურვილს დაბრუნდეს რუსეთში გაწვეულნი იქნებიან ინგლისის ქვეშევრდომებთან ერთად.

**სტოკჰოლმის კონფერენციის მსვლელობის წესი.**

**ლონდონი.** მკათათვის 24. მიღებულია სტოკჰოლმის კონფერენციის სხდომათა მსვლელობის წესი. მეომარ სახელმწიფოთა თვითეულ დელეგაციამ თავთავიანთ თვალსაზრისით საგანგებო მემორანდუმი უნდა წარადგინოს. მემორანდუმებს საგანგებო კომისია განიხილავს. იგივე წარადგენს მოხსენებებს კონფერენციებს და შეეცდება მოწინააღმდეგე ჯგუფების შეთანხმებას. ერთხმად მიღებული დადგენილებანი ყველა მუშათა პარტიისათვის სავალდებულო იქნება. გადაუწყვეტელი საკითხები კვლავ შესაფერ ნაციონალურ ჯგუფების წარმომადგენლებს გადაეცემათ.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მკათათვის 25. საღამოს ოფიციალი ცნობა. ბელგიაში საარტილერიო ბრძოლაა. მდინარე მაასის ნაპირებზე მტერი იერიშით მოდიოდა. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი ბრძოლაა.

**პარიზი.** მკათათვის 26. ოფიციალი. მდინ. ენის ფრონტის ნაწილზე წუხელ ორთავმხრიდან არტილერია მოქმედებდა. მტრის რაზმები ვოსკალონის აღმოსავლეთით და კალაფორნიის ზეგანის დასავლეთით იერიშების მოტანას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ზემო ელზასში სან-მიელიას ჩრდილოეთით მტერი ჩვენ თხრილების თავდასხმას შეეცადა მაგრამ სურვილი ვერ აისრულა. დანარჩენ ფრონტზე წუხელ სიწყნარე იყო.

**ბელგიის ბანაკის ცნობა.**

**მაღრჩობელ გაზებიანი ყუმბარები.**

**ჰავრი.** მკათათვის 24. (დაგვიანებული) ოფიციალი. წუხელ მტერი რამასკაპელლის აღმოსავლეთით მახრჩობელა გაზებით ყუმბარებს უშენდა [illegible] დის სამხრეთით პატრულების შეტაკებაა.

# საბერძნეთის მეფის სიტყვა

**ათინა.** მკათათვის 22 (დაგვიანებული). ტახტზე ასვლის დღეს, კონსტიტუციის ერთგულება ფიცის შემდეგ, საბერძნეთის მეფემ სთქვა: მფარველ სახელმწიფოთა კეთილ-სასურველ ზრუნვით საბერძნეთმა შესძლო უსისხლოდ და უბრძოლველად აღედგინა ეროვნული ერთობა და ლიბერალური დაწესებულებანი. გაიხსნა რა პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს სამეფო ხელმწიფების გადაცემა, მეფემ აღნიშნა მომავლის გზა. საჭირო გახდა,—განაგრძო მეფემ,—აპელაცია ერის წინაშე, რომ ხელახლად განხილულ და განმტკიცებულ იქმნას საფუძველი, რომლებზედაც დამყარებულია ტახტი და მმართველობის წესი ჩვენი ქვეყნისა. გარეშე გარემოებამ ნება არ მოგვცეს დაუყოვნებლივ მოგვეწვია საეროთო კრება, რათა დაგვეწყო ახალი საკონსტიტუციო ერა. ჩვენ გავაუქმეთ დადგენილება, რომელმაც დაარღვია კონსტიტუცია და კვლავ მოვიწვიეთ პილატა. საერო კრების მოწვევისა უფლება კი მომავალში თვით დავიტოვეთ. ქვეყანას მშვიდობა ჰსურდა, მაგრამ სამწუხაროდ საბერძნეთი სდგას ახალი ომის დასაწყისის წინაშე, როგორც მუდამ, ახლაც საბერძნეთი მიემხრო იმათ, ვინც გამოვიდა ერთა უფლებათა და ხალხის თავისუფლების დამცველად. მამულს არასოდეს არ განუცდია ასეთი მკაცრი დღეები: საბერძნეთი იძულებულია დაიცვას თვისი მიწა-წყალი ბარბაროსულ შემოსევისგან. მსოფლიო კატასტროფამ საბოლოოდ გადასწყვიტოს ელლინიზმის ბედი, რასაც ახლა დავკარგავთ, ვეღარ დავიბრუნებთ. მე მრწამს, რომ საბერძნეთის ერის თავდადება აღმოჩნდება საჭირო სიმაღლეზე...

# რევოლუცია

## დეპეშები

**სამინისტროს გარშემო.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 25. კერენსკიმ სიტყვით მიმართა ყოფილ მინისტრებს გოდნევს, ლვოვს და წერეთელს, გამოსთქვა თავისი მწუხარება მათი სამინისტროდან გასვლის გამო, მადლობა გადაუხადა გულწრფელი მუშაობისათვის და იმედი გამოსთქვა, რომ მომავალში კვლავ მოუხდებათ ერთად მუშაობა.

**რუსეთი და გარიბალდი**

**რომი.** მკათათვის 24. (დაგვიანებული). კვირას, კომისარმა სვატიკოვმა რუსის ხალხისა და დროებით მთავრობის სახელით ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შემკო ძეგლი გარიბალდისა.

**ყაზახთა ოლქებში**

**დონის-როსტოვი.** მკათათვის 24. სალსკის ოლქიდან ჩამოსული დელეგატები ატყობინებენ დეპუტატთა საბჭოს, რომ სტანიცა ველიკოკნიაჟესკაში სახელმწიფო სათათბიროს წევრის აფანასიევის, ატამანის და სამხედრო ოლქის დელეგატის მიერ დაწყებულია რეაქციონური აგიტაცია. საბჭოს მიერ გაგზავნილ იქნენ წარმომადგენლები კონტრ-აგიტაციისთვის და საქმის გამოსარკვევად.

**ბესარაბეთის ავტონომია**

**კიშინიოვი.** მკათათვის 25. მოხდა ბჭობა ბესარაბელთა პოლიტიკურ, ნაციონალურ და საზოგადო მოღვაწეებისა. ილაპარაკეს უკრაინის ცენტრალ რადის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს, რომ ბესარაბეთი უკრაინის გავლენის სფეროში მოაქციოს. გამოტანილ იქმნა რეზოლუცია, რომელშიაც ბესარაბეთის ტერიტორიალურ, პოლიტიკურ ავტონომიას ითხოვენ. დადგენილ იქმნა: შესდგეს კომისია ბესარაბეთის საბჭოს დასაარსებლად.

**მღვდელთა ყრილობა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 26. პირველ მარიამობისთვიდან ხუთმეტამდე, მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ წამოყენებულ იქნება სრულიად რუსეთის მღვდელთა ყრილობა. ყრილობის პროგრამაში სხვათა-შორის სააგრარო საკითხიც არის შეტანილი.

**პოლიტიკური ამნისტია**

**პეტროგრადი.** მკათათვის 26. დრ. მთავრობის მიერ გამოცხადებულ იქმნა ამნისტია პოლონელებისადმი, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებოდათ.

**ემიგრანტთა დაბრუნება**

**პეტროგრადი.** მკათათვის 26. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: გადაიდვას 2 მილიონი მანეთი პოლიტიკურ ემიგრანტების რუსეთში დასაბრუნებლად.

**ქალთა რაზმის გმირობა**

**მინსკი.** მკათათვის 25. გაზეთ „ნაშ ვესტნიკ"-ის გადმოცემით ქალთა რაზმის გმირობა ენით აუწერელია. იბრძოდა-რა გმირულად ქალთა რაზმი ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იდგა და გამუდმებით სასტიკი იერიშით მიდიოდა გერმანელებზე, უკიდურეს შემთხვევაში კონტრ-იერიშს აწარმოებდა და ლაჩარ ჯარის კაცებს გმირობის მაგალითს უჩვენებდა. ციმბირის მსროლელთა დივიზიის უფროსი იტყობინება, რომ ბრძოლაში ქალთა რაზმის ყოფა-ქცევა მეტის-მეტად დამაკმაყოფილებელია. ქალთა რაზმი თავგანწირულად მოქმედებდა, აკავებდა დეზერტირებს, თუ დაუნახავდა ჯარის კაცებს, ბოთლს, არაყით სავსეს, ართმევდა და იქვე ქვებზე ამტვრევდა. დასვენების დროსაც კარგათ იქცევიან მეომარი ქალები. ჯარის კაცები ქალებს პატივისცემით ეპყრობიან. სამხედრო მართველობა ფიქრობს, რომ რადგანაც ქალთა რაზმების გავლენა ჯარის კაცებზე დიდია, ამიტომ გაიგზავნოს ქალთა რაზმები ყველა სამხედრო ნაწილებში.

**დოკუმენტები**

**პეტროგრადი.** მკათათვის 25. სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორგანო „დელო ნაროდა"-ში დაბეჭდილია მთელი რიგი დოკუმენტებისა. მინისტრ ჩერნოვის საქმის შესახებ: 1) ღია წერილი მილიუკოვთან, რომელშიაც ჩერნოვი აწვევს მილიუკოვს სამართალში, როგორც გაზ. „რეჩ"-ის ხელმძღვანელს, რომელშიაც დაიბეჭდილიყო შენიშვნები ჩერნოვის წინააღმდეგ; 2) ჩერნოვის წერილი ტერეშჩენკოსთან თხოვნით—შეატყობინოს, მართალია „რეჩის" ცნობა, ვითომც, ტერეშჩენკოს ეთქვას, რომ უნდა გადადგეს, რადგანაც არ შეიძლიან დავრჩე მთავრობაში, სადაც ჩერნოვიაო. 3) ტერეშჩენკოს ღია წერილი, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ გასვლა და დაბრუნება მისი გამოწვეულია პრინციპიალური და არა პირადი მოსაზრებებით და რომ ტერეშჩენკოს არა აქვს არავითარი საბუთი ჩასთვალოს ჩერნოვის სახელი რითიმე ჩირქ მოცხებულად და სხვა. მასთან „დელო ნაროდაში" მოყვანილია გლეხთა წარმომადგენელთა აღშფოთება „მიწისა და თავისუფლებისათვის" ცნობილ მებრძოლის, ჩერნოვის გაშვებისთვის, ამაში ისინი ჰხედავენ უგვანო ფანდს ბრძოლისას ჩერნოვის სამიწა-წყლო პოლიტიკის წინააღმდეგ და თხოულობენ, რომ სამ დღეში გარჩეულ იქმნენ

ის ბრალდებანი. მოყვანილია აგრეთვე მთელი რიგი სალდათთა და მუშათა საბჭოების რეზოლუციებისა, რომლებშიაც გამოთქმულია სრული ნდობა ჩერნოვისადმი.

## ახალი მინისტრები

**პეტროგრადი.** მკათათვის 25 შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი ავქსენტიევი გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეა. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი პროკოპოვი ეკონომისტია და ახლად დაარსებულ ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეა. იუსტიციის მინისტრი ზარუდნი—ცნობილი ვექილია, თავი ისახელა ბეილისის პროცესის დროს. სახელმწიფო კონტროლიორი კოკოშკინი სახელმწიფო უფლების პროფესორი არის და ყოფილი თავმჯდომარე დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის. გზათა მინისტრი იურენი, მოსკოვის ქალაქის თავის ამხანაგია. სინოდის ობერ-პროკურორი კარტაშევი რელიგიურ ფილოსოფიურ საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორ-კანონისტი. სახალხო განათლების მინისტრი ოლდენბურგი აკადემიკოსი და სახელმწიფო საბჭოს წევრია. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ნიკიტინი ნაფიცი ვექილი და მოსკოვის მილიციის გამგეა. ამათში, კოკოშკინი, კარტაშევი, ოლდენბურგი და იურენი ხალხის თავისუფლების პარტიის წევრებია. ნიკიტინი კი ს.-დემოკრატი მენშევიკია. ელიან ახალი მთავრობის მიმართვას მცხოვრებლებისადმი. ფიქრობენ საგანგებო ორგანოს დაარსებას, რომელსაც მინდობილი ექნება სახელმწიფო თავდაცვის საქმე.

## რუსეთის ნაციონალური სამინისტრო

**დროებით მთავრობის სხდომა და დადგენილებანი.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 25. დღის დროებითი მთავრობის საღამოს სხდომამ უკვე განსაკუთრებულ საქმიანობის ხასიათი მიიღო. მინისტრების გარდა სხდომაში მონაწილეობდნენ მათი ამხანაგები და უწყებათა გამგენი. ამ სხდომაზე მთავრობამ დაადგინა, რომ შემოღებულ იქნას ფლოტის მეზღვაურების და აფიცრების გიორგის ჯვრით დაჯილდოვება იმავე წესით, როგორც მიღებული იყო ლაშქრის აფიცრების და ჯარისკაცების დაჯილდოვება. სახელმწიფო მზრუნველობის სამინისტროს შესახებ მიღებულ იქნა უმაღლეს საბჭოს გაუქმების კანონპროექტი.

სახელმწიფო კონტროლის შესახებ დროებითმა მთავრობამ მოიწონა ის წინადადება, რომელიც დონში შლუზების გასაკეთებელ მმართველობის საქმეებისათვის სასენატორო რევიზიის დანიშვნას შეეხება. მიღებულ იქნა საქართველოს ეგზარხოსის ავტოკეფალობის კანონპროექტი. მიღებულ იქნა აგრეთვე სამხედრო-ს ტეხნიკო მმართველობასთან სასანიტარო საქმის მოწყობის დროებითი კომიტეტის დებულება. პატარა იმატრის ჩანჩქერთათვის დაარსებულ კომისიას დაევალა შედგეს მდ. ვოლხოვის გამოსაყენებლად კანონ-პროექტის შემუშავებას. სხდომამ მოისმინა აგრეთვე დეპუტატთა საბჭოების წერილობითი განცხადება კანონმდებლობითი წინადადებებით, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირების უზრუნველყოფას შეეხება. ეს წინადადებები საფინანსო და სამხედრო სამინისტროებს გადაეცა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 25. (დაგვიანებული). დღეს 16 საათზე კერენსკის თავმჯდომარეობით განახლებულ დროებით მთავრობის პირველი სხდომა მოხდა. მინისტრ-თავმჯდომარემ სხდომის დაწყებისას სიტყვით მიმართა წევრებს. მან აღნიშნა რომ საჭიროა დიდი ყურადღება მიაქციოს ჯარის ზურგისა და ფინანსიურ მეურნეობის საქმეთა ორგანიზაციასთან ერთად სახელმწიფოს დაცვას. დასასრულ კერენსკიმ აღნიშნა, რომ ამ მხრივ სხვა და სხვა უწყებათა ხელმძღვანელებმა უკვე შესამჩნევი ნაბიჯები გადადგეს. ამის შემდეგ მორიგ საკითხებზე გადავიდნენ. გარეშე საქმეთა მინისტრმა ტერეშჩენკომ ბანაკში ყოფნის გამო სწრაფი მოხსენება წაიკითხა. შემდეგ დაადგინეს, რომ უმ. სინოდის ობერ-პროკურორის მაგიერ დაარსონ სარწმუნოებათა სამინისტრო. და ამ უკანასკნელს დაუმორჩილონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საუწყებო სასულიერო საქმეთა დეპარტამენტი. სინოდის ობერ-პროკურორი კარტაშევი დღეიდან სარწმუნოებათა მინისტრის წოდებას ატარებს. სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი დაინიშნა მინისტრების ამხანაგთა სხდომების მუდმივ თავმჯდომარედ. მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვი სახალხო განათლების—ოლდენბურგს და მათ უწყებათა თავმჯდომარეებს დაევალათ, რომ მათ პეტროგრადის სასწავლებლებში მეცადინეობის აღდგენის საკითხი გამოარკვიონ. დადგენილია, რომ ის რუსის ქვეშევრდომნი, რომელნიც სამსახურში უნდა გაიწვიონ, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს ვერ დაუბრუნდნენ, საფრანგეთის ჯარში უნდა მოიხადონ სამხედრო ბეგარა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 26. დროებითმა მთავრობამ დაადგინა გაუმჯობესდეს მატერიალური მხრივ უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მომუშავე პირებისა. დადგენილ იქნა გადაიდვას 250,000 მანეთი ზემოაღნიშნულ სასწავლებელთა მოსწავლეთა და პროფესიონულ განათლების მოღვაწეთა ყრილობის მოსაწვევად და ყრილობის დადგენილებების გამოსაცემად. სამხედრო სამინისტროსთვის მიღებულ იქნა შტატი ავტომობილების ნაწილებისა, რომელნიც არიდებიან მთავარ სამხედრო ტეხნიკურ მართველობასთან. ეს შტატები გადახედულ იქნებიან ომის გათავების ერთი წლის შემდეგ. დამტკიცებულ იქნა ახალი დადგენილება სამხედრო ცენზურაზე და საფოსტო კორესპონდენციების კონტროლზე.

სასურსათო საკითხის შესახებ გადაწყდა ძალით ჩამოართვან სოფლელებს ზედმეტი სურსათი. დადგენილ იქნა ამურის ყაზახთა მცხოვრებლებს სურსათის შესაძენათ გაგზავნოს 300,000 მანეთი.

დადგენილ იქნა შემოღებულ იქნას ერობა კოვნოს და ვილნოს იმ ადგილებში, სადაც ჯერ მტერი არ შემოსულა. ციმბირის ერობისთვის გადაიდვა 2 მილიონი მანეთი. დამტკიცებულ იქნა საზღვრები ცარსკოე სელოსი, გატჩინის და ივანოვო-ვოზნესენსკის.

## ხალხის თავისუფლების პარტიის ყრილობა

**პეტროგრადი.** მკათათვის 25. გუშინ, ხალხის თავისუფლების IX ყრილობაზე მოსმენილ იქნა ნოლდეს მოხსენება ეროვნულ საკითხზე. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის ძალითაც სახელმწიფოს შეუძლია მისცეს ერებს, როგორც მთლიანს ექს—ტერიტორიალურ ერთეულებს, განხორციელება კანონში აღნიშნული კულტურული მართველობისა. ამ მართველობას დაექვემდებარებიან ისინი, ვინც თავიანთთავს ამა თუ იმ ერს აკუთვნებენ.

ერებთა კავშირების ორგანიზაცია, უწყების საგნებში და ხარისხი მათი უფლებისა, რაოდენობა თანხისა, რომელიც მათ მიეცემათ სახელმწიფო ხაზინიდან ან და გადასახადებით მათვე, აგრეთვე კავშირების დამოკიდებულებაში სახელმწიფოსთან, დაწესებული იქნება საერთო სახელმწიფოებრივი კანონით.

რუსული ენა, როგორც სახელმწიფოებრივი, უნდა დარჩეს სახმარებლათ ცენტრალ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, არმიაში და ფლოტში. ხოლო ადგილობრივ სახელმწიფოებრივს და საზოგადო დაწესებულებებში კი უნდა დადგენილ იქმნას უფლება ადგილობრივი ენების ხმარებისა, ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით, რუსულ ენას კი დარჩეს სახელმწიფო კანონი ადგილობრივ ენებთან თანასწორ უფლებებში არა მხოლოთ როგორც სახელმწიფო ენას, არამედ როგორც ეროვნებათა შორის ენას. ყოველი კუთხის მცხოვრებლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ, რომ პირველ დაწყებითი სწავლა და მისი გაგრძელება ხდებოდეს სამშობლო ენაზე.

ამას გარდა მოსმენილ იქნა შინგარევის მოხსენება სასურსათო საკითხზე.

**პეტროგრადი.** მკათათვის 25. სახალხო თავისუფლების პარტიის კრებამ, შინგარიევის, მილიუკოვის და როდიჩევის სიტყვების შემდეგ, გამოიტანა რეზოლუცია—სადაც დაუჭერონ დროებით მთავრობას, გამოსთქვამს რწმენას, რომ, თუ მთავრობა თავიდან აიცილებს კლასიურ ბრძოლას, ციმერვალდელების ლოზუნგებს და დაემყარება საზოგადო, მტკიცე, დამოუკიდებელ ნაციონალურ პოლიტიკას, იგი შესძლებს იხსნას რუსეთი დაღუპვისაგან. რეზოლუცია იწონებს პარტიის წევრების შესვლას მთავრობის შემადგენლობაში და მოუწოდებს ზნეობრივ დახმარება აღმოუჩინონ მათ.

## უკანასკნელი დეპეშები

**თავიანთ ტაქტიკის შეცვლის შესახებ მილიუკოვმა განაცხადა:—ჩვენ შევხცვალეთ ჩვენი გარდაწყვეტილება მიტომ, რომ კერენსკიმ განაცხადა, დროებით მთავრობის წევრები პასუხის მგებლები იქნებიან მხოლოდ სახელმწიფო და სინიდისის წინაშე და არა პარტიების წინა.**

—

**შინაგან საქმეთა მინისტრმა აღძრა საკითხი პეტროგრადიდან ლაზარეთების და სახელმწიფო დაწესებულებათა გადატანის.**

—

**გენერალი გურკო ხატუსადო ტანსაცმელში გადაცმული მიიყვანეს პეტრე პავლეს ციხეში.**

—

**„ვოლია ნაროდა“ დემოკრატიულ რევოლუციონურ ილუზიების უარყოფას მოითხოვს. იგი აღნიშნავს, რომ მთელს დედამიწის ზურგზე უთავისუფლესი რუსის ლაშქარი კაიზერის მონა მორჩილ ჯარის წინაშე იხევსო.**

—

**„ზემლია ი ვოლია“ აღნიშნავს, რომ უკვე 18 დღეა, რაც მტერმა ნახევარ მილიონზე მეტი ნათესი მიწა ჩაიგდო ხელში. იგი გვიქადის პოდოლიისა და ნოვოროსიის წართმევასა და მიდამოების დაჭერას.**

—

**სამხრეთ- დასავლეთის ფრონტზე ალაგ ალაგ ჯარის კაცება კვლავ ძმობილდებიან.**

**სოფ. ტერკოვცეს რაიონში ჩვენი ჯარის კაცები ხშირად ავსტრიელებთან ქეიფობენ და ბანქოს თამაშობენ.**

**დასავლეთის ფრონტზე პირველ პოლკმა ასპარეზზე გასვლის უარი განაცხადა. პოლკს ყაზახებმა და ხუბუქ ბატარეებმა ალყა შემოარტყეს აღთქმულ დროის შემდეგ 41 ყუმბარაც მიუშვეს. არიან დახოცილ-დაჭრილები. ამის შემდეგ პოლკი დამორჩილდა.**

## ქრონიკა

### თბილისი

◆ **საქ. ერ. დემ. პარტია.** მე-10 და მე-12 უბნის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ შაბათს 29 მკათათვეს დანიშნულია ჩვეულებრივი წევრთა და თანამგრძნობთა კრება, განსახილველია მიმდინარე საკითხები. ვთხოვთ ყველას დაესწრონ ამ კრებას.

◆ **კნეინა ანასტასია მაჩაბლის გარდაცვალების გამო.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თბილისის განყოფილების გამგეობამ დაადგინა: 1) განყოფილების თავმჯდომარის ამხანაგის კნ. ან. მაჩაბლის ცხედრის მოსვენებას გამგეობის მთელი შემადგენლობა დაუხვდეს რკინის გზის სადგურზე თბილისში და აგრეთვე დაესწროს დაკრძალვას; 2) მიენდოს გამგეობის თავმჯდომარეს ილია ნაკაშიძეს სამძიმარი გამოუცხადოს განსვენებულის ქმარს; 3) ნაცვლად გვირგვინისა გადაიდვას ასი მანეთი რომელიმე კულტურულ დაწესებულებისათვის.

◆ **მუშების შუამდგომლობა.** 200 მუშამ, რომელნიც 1916 წელს დათხოვნილი იყვნენ თბილისის თამბაქოს ქარხნებიდან უწესოების გამო, თხოვნით მიმართა მუშათა სექციას, რომ ისევ მიღებულ იქმნან ისინი სამუშაოზე.

◆ **ქალაქის ახალი საბჭოს პირველი კრება** სახაზინო თეატრში მოხდება, რადგან მოსალოდნელია, რომ კრების დიდძალი საზოგადოება დაესწრება, რომელსაც საბჭოს დარბაზი ვერ დაიტევს.

◆ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში.** ცენტრალურ ბიუროს კავშირისგან აირჩიეს ა. ს. ხელაძე და ა. ზ. იაშვილი.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტმა** განკარგულება მისცა საუბნო სასურსათო კომიტეტებს, რომ იმ სანოვაგეს რომელიც განაპირა სოფლებიდან შემოდის და რომელთაც დაწესებულ ნიხრზე ყიდიან რეკვიზიცია არ ექნას.

◆ **მოწყალების დათა კონფერენცია.** მკათათვის 26-ს თბილისში დაიწყო მოწყალების დათა დელეგატების კონფერენცია. მოსმენილ იქმნა მილოცვები. შემდეგ აირჩიეს კრების პრეზიდიუმი. ბოლოს გამოტანილ იქმნა დროს შესაფერისი რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნული, რომ მოწყალების დანი სხვებთან ერთად სარევოლუციო მოძრაობაში არიან ჩაბმულნი. კონფერენციის მუშაობა რამდენიმე დღეს გასტანს.

### კავკასია

◆ **ტყეს ცეცხლი უკიდია.** სოფელ ჰობის ხევის მახლობლად, ბორჯომიდან 12 ვერსის დაშორებით იწვის ეგრედ წოდებული „სახელმწიფო ტყე“, რომელიც ქართველ გლეხებს ეკუთვნის.

◆ **რკინის გზის კომისარი.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა შავი ზღვის რკინის გზის კომისრად დანიშნა ბენია ჩხიკვიშვილი, სოხუმის ქალაქის თავად არჩეული.

◆ **საფოსტო კომისია.** რადგანაც ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებისაგან მოდის მრავალი უკმაყოფილება შესახებ იმისა, რომ კორესპონდენციებს აგვიანდებათ და იკარგებიან ამიერ კავკასიის კომისარიატთან არსებულმა სოლდათ საბჭომ დაარსა საფოსტო კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მიზეზები კორესპონდენციების დაგვიანებისა და მოაგვაროს ეს საქმე.

◆ **ოსმალების ჰაეროპლანები.** თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, აზრუმზე და მამახათუნზე ოსმალების ჰაეროპლანები გამოჩენილან და ყუმბარები ჩამოუყრიათ. მოკლულია 2 კაცი და 10 დაჭრილია.

◆ **გერმანელის ჯაშუში.** ბალაჯარის სადგურზე ვაგონში დააპატიმრეს გერმანელი სამხედრო ჯაშუში, რომელიც სპარსელი ხოჯის ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ჯაშუში აღმოჩნდა გერმანიის სამხედრო შტაბის ჯაშუში, რომელსაც უნივერსიტეტში ჰქონებია სწავლა დამთავრებული. ხალხს უნდოდა თვით გაესამართლებია ის, მაგრამ მილიციონერებმა ამის ნება მას არ მისცეს. ჯაშუში ახალგაზრდა კაცია. თავი ამაყად უჭირავს. დაჭერის შემდეგ დამსწრეთ სიტყვით მიმართა. მან სთქვა: სიკვდილის არ მეშინია და მზათ ვარ სამშობლოს მსხვერპლათ შევეწირო. ხალხს უთხრა: თქვენში რომ ისეთი კეთილ-შობილი პირები მოიპოვებოდენ, როგორც ეს ჩვენში არიან, რუსეთს, ყოველთვის შეეძლო ომის მოგებაო.

◆ **სალდათებს ნება აქვთ სამოქალაქო ტანთსაცმელების ჩაცმისა.** სალდათების დეპუტატთა საბჭოს ბევრი ჯარის კაცი ეკითხება, რომ თავისუფალ დროს, როცა სამსახურში არ ვ მყოფებით, ნება გვაქვს თუ არა სამოქალაქო ტანსაცმელი ვატაროთო. ამის გამო კავკასიის მხედრობის მთავარ სარდალი გენერალი პრჟევალსკი აცხადებს, რომ 1917 წლის 15 თიბათვის კანონით სამოქალაქო ტანთსაცმელების ტარება უკვე ნებადართულია თავისუფალ დროს, ე. ი. როცა ჯარის კაცნი სამსახურს არ ასრულებენო.

◆ **სომეხ-თათრების შეტაკება ერევანში.** ერევნიდან „არჩაკ-სოზ“-ს მკათათვის 14-ის თარიღით იტყობინება ბნელ ძალების მიერ წაქეზებულ ჯარისკაცებმა და გამოქცეულ სომხებმა გაძარცვეს და აიოხრეს ქალაქის მაღაზიები და დუქნები. მათზე არავითარ ჩვენმა მუდარამ და დამუქრებამ არ იმოქმედა. მხოლოდ ღამე და ჩამოვარდა სიწყნარე. იმ დღიდან 6 უკვე მეექვსე დღეა რაც დუქნები და მაღაზიები არ გაღებულა. შეშინებული მუსულმანები ჩაიკეტნენ თავიანთ უბნებში და შიშით იქიდან ველარ გამოდიან. იქ პური და პირველ საჭიროებითი ნივთები არ იყიდება. ამიტომ მუსულმანები შიმშილს განიცდიან. აქამდის ჩვენთვის დახმარება არავის აღმოუჩენია. როგორც სჩანს არც არავის ვახსოვართ. ჩვენს სიცოცხლეს და ქონებას საფრთხე ემუქრებაო. არავინ არ იცის თუ ხვალ რა მოგველისო“-ო.

◆ **მოქალაქეთ აქვთ უფლება უნდობლობა გამოუცხადონ კომისარს.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ კომისარი თავის მოქმედებაში უნდა ემყარებოდეს ადგილობრივ საზოგადოებრივ კომიტეტებს და მათს ნდობაზე მისდამი, რისგამოც, სოლქო კომიტეტს, თუ იგი წესიერად არის არსებაში მოყვანილი, აქვს უფლება განსაჯოს საკითხი ნდობისა თუ უნდობლობისა კომისარისადმი და თან წარუდგინოს სამინისტროს ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან ნდობით აღჭურვილი კანდიდატი.

◆ **მთიულთა კომიტეტის შუამდგომლობა.** ცენტრალი კომიტეტი მთიულთა გაერთიანებულ კავშირისა თემირ-ხან-შურაში სთხოვს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, არ დააბანაკოს ჯარი თერგის და დაღესტნის ოლქებში, რადგანაც ადგილის პირობების და მთიელთა ზნე ჩვეულების უცოდინარობა გაუგებრობის და ექსცესებს გამოიწვევს ჯარის კაცთა და მთიელთა შორის.

◆ **43 წლოვან სალდათის განთავისუფლება სამსახურიდან.** როგორც სამხედრო შტაბმა განმარტა, სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლდება ის 43 წლოვანი ჯარის კაცნი, რომელნიც 1895 წელს იყვნენ გასაწვევი, მაგრამ სამსახური დაიწყო 1896 წელს. აგრეთვე განთავისუფლებულ იქნებიან პირველ ღვინობისთვისათვის ის 43 წლიანი ჯარის კაცნი, რომელნიც გასაწვევი იყვნენ 1895-1896 წლებში, მაგრამ სამსახური დაიწყეს 1896-1897 წლებში.

### საქართველო

◆ **რკინის გზის ტოტი.** თბილისში ჩამოვიდა დიმის სასოფლო საზოგადოების (ქუთაისის მაზრა) დეპუტაცია, რომელშიაც წევრებად არიან ვ. ბურჯანაძე, კ. ჩხიკვაძე და შ. ქარაბაკი. დეპუტაციას დავალებული აქვს იშუამდგომლოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე, რომ შეცვალოს პროექტი რკინის გზის ტოტის გაყვანისა აჯამეთის სადგურიდან ბაღდადის ტყეებამდე. ცვლილება ასეთი უნდა მოხდეს: ტოტი გაიყვანება ნაცვლად აჯამეთის სადგურიდან და გავლის პირდაპირ დასახლებულ სოფ. როდინაულზე, ობჩაზე და ბაღდადზე. შუამდგომლობა თუ შეწყნარებულ იქმნა, იმ შემთხვევაში სოფლებიც მეტად ისარგებლებენ გზით და გზასაც მეტი შემოსავალი ექნება.

◆ **გლეხთა კავშირის** საოლქო ცენტრმა დაადგინა: 1) გაგზავნოს ახალ ქალაქის მაზრაში ცაბაძე დარბინიანი და მანდოს მათ გამოიძიონ ატეხილი უთანხმოება მაზრის კომისარსა და მცხოვრებთა შორის; 2) მიღებულ ცნობის გამო, რომ გურიაში მემამულეები თავიანთ ადგილ-მამულს ჰყიდიანო, წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მთავრობას ცირკულიარი გაგზანოს ოზურგეთის მაზრაში და გააგებინოს ხალხს, რომ დამფუძნებელ კრებამდე მამულების გაყიდვა აკრძალულია; 3) გლეხთა კავშირის წარმომადგენლობა ერობათა კავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში მიენდოს ჯოლოს.

◆ **ჯარის კაცის უკვალოდ დაკარგვა.** ჩვენ გვთხოვეს გამოვაცხადოთ, რომ 23 კავკასიის მსროლელთა პოლკის მე-10 როტის ჯარის კაცი გიორგი ანდრიას ძე ბერიშვილი ამა წლის თებერვლიდან უკვალოდ არის დაკარგული. თუ ვინმემ იცით მის შესახებ რაიმე, გთხოვთ აცნობოთ შემდეგ მისამართით:—თბილისის გუბერნია სიღნაღის მაზრა, სოფელი ჯიმითი, ისონ ანდრიას ძე ბეროშვილს.

### ქუთაისი.

◆ **საქმეების ქართულ ენაზე წარმოება.** ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოქმედება უკვე დაიწყო, ყოველივე საქმეები ქართულ ენაზე სწარმოებს.

## სოციალ-ფედერალისტთა საარჩევნო ხრიკები.

სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია პირდაპირ „ამერიკულ“ წესით აწარმოებს საარჩევნო რეკლამის საქმეს. სხვათა შორის ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას ასეთი ფურცელი დაუბეჭდია: „ვისაც უყვარს მშრომელი **საქართველო** მიეცით ხმა № 5 სო“ და რომელი პარტიისაა ეს ნომერი ის კი არ აწერია, თუმცა სხვა ფურცელზე არსად დავიწყებიათ თავიანთი სარევოლუციო ტიტული. კარგი იქნება, რომ სადაც ფედერალისტები „საქართველოს“ მაგიერ სიტყვას ახსენებენ, იქ ნურც თავისი პარტიის სადარბაზო ბარათის დატოვებას დაიზარებენ, რომ ამომრჩეველს მართლაც არ შეეშალოს საარჩევნო ნომრების ანგარიში.

## გაგრის ოლქის საკითხი

ამიერ კავკასიის კომისარის ა. ჩხენკელის მოგზაურობამ სოხუმის ოლქში რომლის არჩეულიც არის ის სახელმწიფო სათათბიროს წევრად, აღძრა მომენტის შესაფერი საკითხი გაგრის ოლქის სოხუმის ოლქთან შემოერთებისა. აი რას ამბობს ამის შესახებ გაზეთი „ერთობა“.

მოგეხსენებათ ძველმა მთავრობამ სოხუმის ოლქს ჩამოაჭრა კარგა მოზრდილი ნაწილი, სახელდობრ მდინარე ფსოუსა და კალდახვარას შორის და შეუერთა ნოვოროსიის გუბერნიას.

სარჩული მთავრობის ამგვარ მოქმედებათა ყველასათვის ცხადია; ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს ის არასოდეს პატივისცემით არ ეპყრობოდა. დღეს ეს კითხვა კვლავ წამოდგა; ხალხი მოითხოვს აღნიშნული „ოლქი“ კვლავ შეუერთდეს სოხუმს. იგივე საკითხი დაისვა სოხ. ოლქის გლეხთა ყრილობაზე, სადაც ერთხმად გადასწყდა აღდგენილ იქნას ძველი ბუნებრივი საზღვრები სოხუმის ოლქისა. კრებამ სთხოვა აკ. ჩხენკელს—მიიღოს ყოველგვარი ღონისძიება, რათა ეს კითხვა ხალხის სურვილის მებრ გადაწყდეს.

## სრულიად რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის საბჭო და რევოლუცია

18 მკათათვის კრებაზედ, სრულიად რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის კავშირის საბჭომ გამოიტანა შემდეგი მიმართვა დროებით მთავრობისადმი:

„ამ საბედისწერო წამში თქვენ მიმართავთ ბურჟუაზიულ ჯგუფებს თხოვნით—შემოვიდნენ კოალიციურ სამინისტროში და მას უწოდებთ რევოლუციის მხსნელად, თუმცა უნდა ეწოდოს სამშობლოს [illegible] მთავრობისა, რომელიც მოწოდებული იქნება იხსნას რუსეთი დაღუპვისაგან, შეუძლებელია იყოს კლასიური და პარტიული. იგი უნდა იყოს მხოლოდ ნაციონალური, ხალხური. რუსეთის ხალხმა ამ აზრით დაამხო ძველი რეჟიმი, რომ ეშველა თავის თვითარსებობისათვის, ამიტომ რუსეთის რევოლუცია არის წმინდა ნაციონალური და არა სოციალური. რუსეთის ხსნისათვის დღეს თუ საჭიროა დიქტატურა, იგი უნდა იყოს მხოლოდ ჭეშმარიტად—ნაციონალური, აღზნებული ერთის აზრით—იხსნას რუსეთი დაღუპვისაგან“.

## თეატრი სოფლად

ჩვენი სოფელი ამ რევოლუციის დროს საშინელ დამცირებას განიცდის... მისი ხმა ჩვენამდე არ აღწევს, მის სულისკვეთებას, არავინ არ უწევს ანგარიშს, მისთვის თითქმის არავინ არ ზრუნავს.

წინამდეგ შემთხვევაში სოფლით ბევრი სარგებლობს, როგორც ერთგვარი შემოსავლიანი ადგილით... ამ მოსაზრებით მრავალი მართავს დღეს ჩვენ სოფლებში „წარმოდგენა-ლექციებს“. და ამ კარგ საქმეს ხალხში სახელს უტეხავს. უმთავრესად მართავენ წარმოდგენას ისეთნი, რომელთაც თვითონ არაფერი არ გაეგებათ, რომელთაც სრულებით არ აინტერესებთ ხალხის სამსახური... რომელნიც სახელს უტეხენ ნამდვილ მუშაკებს.

ჯერ ხომ ჩვენს სოფელში ღრმად ფეხი არ გაუდგამს თეატრს, ჯერაც ხომ მრავალი მოიპოვება სოფელში ისეთნი, რომელთათვისაც თეატრი მახეა გადაგვარების, რომელნიც ებრძვიან ამ ხელოვნების ტაძარს.

მე მგონია ასეთნაირ შემთხვევაში სიფრთხილე არის საჭირო, რომ თეატრს სოფლის ხალხმა ზურგი არ უჩვენოს.

ამ შემთხვევაში კომერციული მოსაზრებით ყოვლად შეუძლებელია წარმოდგენების მართვა სოფლებში.

მეტის მეტად სავალალოა და ჩამაფიქრებელი, როდესაც წარმოდგენებს მარტო ფულის გულისთვის მართავს არა ვინმე, არამედ თვით ეგრედ წოდებულნი „სცენის მოყვარენი“ [1].

თბილისის ერთს სცენის მოყვარეს ამ მოსაზრებით გადაუწყვეტია „სინათლე“ შეიტანოს ჩვენ სოფელში და თავისი „ექსპედიცია“ მოუწყვია.

პირველად სოფელ კავთისხევს ესტუმრა.

გამოაკრა აფიშები, გამოაცხადა, რომ წავიკითხავ ლექციას რუსეთის რევოლუციაზეო, ვაჩვენებ სურათებს რევოლუციის ამბებიდანაო, და თან ხალხს ვოდევილის წარმოდგენასაც ჰპირდებოდა.

შესავლელ ფასს 50—10 კაპეიკამდე აცხადებდა—ერთი სიტყვით იაფად ხალხს ყველაფერს ჰპირდებოდა—მაგრამ დახეთ უბედურობას, რომ წარმოდგენის დღეს, როდესაც შეხედეს, რომ ხალხი ბლომად დაესწრებოდა, ორშაურიანი ბილეთები 10-შაურად გაჰყიდეს. ამას გარდა გაჰყიდეს იმდენი ბილეთი, რომ, თეატრის შენობაში მისი მესამედი არ დაეტეოდა.

შედეგათ ყველა ამას არევდარევა, ჩხუბი, ყვირილი და ქართული გინება მოჰყვა...

ხალხი იძულებული იყო თეატრი დაეტოვებინა და კარში გამოსულიყო.

ასე ჩაიარა ამ „წარმოდგენამ“ ხალხს არაფერი არ უნახავს, წაიკითხეს ლექცია—მაგრამ რაც პატივცემულმა „ლექტორმა“ წაიკითხა ლექცია კი არა მიქარვა იყო. ბუნდოვანი სურათები ხალხს ისე არ დაუნახია, როგორც მე ჩინეთის იმპერატორი და ვოდევილის წარმოდგენა კი მგონი დაავიწყდა ბ-ონ...

ასე ჩაიარა მისმა წარმოდგენამ, მადლობის მაგიერ მეორე დღეს ხალხი ეგრედ წოდებულ „ნასწავლ ხალხს“ აგინებდა და თეატრს ლანძღავდა. ასე მოუხერხა ბატონმა —მა კავთისხევში თეატრს სახელი და მით ნიადაგი მოუსპო მის გავრცელებას სოფლებში.

ეს რომ სხვას ექნა, კიდევ ჰო, მაგრამ მგონი ასეთნაირი საქციელი სცენის მოყვარეს არ შეფერის, მან კარგათ უნდა იცოდეს, რომ ასეთნაირ საქციელს იურიდიულად ხალხის გაყვლეფა ეწოდება.

**მ. საირხელი.**

## რუსეთს შიმშილი უახლოვდება

ამას წინად მოახდინეს გამოანგარიშება, თუ რამდენი ხორბალი მოვა წელს რუსეთში. წინანდელი სტატისტიკური ცნობებით გამოირკვა, რომ 1913 წლი-

[1] პასუხის მგებლობას ამ წერილზე ავტორი კისრულობს. რედ.

№ 163

დან 1916 წლამდე მოსულა 17,967 მილიონი ფუთი ხორბალი. აქედან საზღვარ-გარეთ გაუტანიათ 750 მილიონი ფუთი ხორბალი. ჯარს დაუხარჯავს 1,206 მილიონი ფუთი ხორბალი. ასე რომ მცხოვრებლებისთვის დარჩენილა მხოლოდ 16,011 მილ. ფუთი ხორბალი.

ომამდე რუსეთის მცხოვრებლებს 5 წელში საშუალოდ 3,669 მილ. ფუთი ხორბალი სჭირდებოდა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მცხოვრებლების ნაწილი ბრძოლის ველზე არის გაწვეული, რომ სიძვირის გამო ოთხფეხი თან და თან იკლებს და ისპობა, უნდა ვიფიქროთ, რომ ხარჯმაც ცოტათი მოიკლო. ერთი სავაჭრო-სამრეწველო გაზეთის გამოანგარიშებით ხარჯმა დაიკლო 6 პროც. მაგრამ იმავე გაზეთის გამოანგარიშებით მცხოვრებლების გამრავლების გამო ხარჯები არამც თუ იკლებენ, არამედ მატულობენ. საერთოდ ეს გამოიხატება 5 პროც. ასეთი გამოანგარიშებით მცხოვრებლებისთვის საჭიროა 16,632 ფუთი ვიდრე 17,368 მილიონ ფუთამდე ხორბალი. ასე რომ პურის ნაკლებობა გამოიხატება 600—1,310 ფუთ მილიონამდე, რაც ორი თვის ხარჯია. ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია ახალი მოსავლისაგან. წლევანდელს მოსავალს კი მეტი-მეტი კუდი პირი უჩანს, და მას არ შეუძლია ხარჯები დაფაროს. ამის გამო რუსეთი ახლო მომავალში შიმშილობის წინ იტუზება.

## უკრაინა და გერმანეთი

„რეჩ.-“ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი, რომელიც ნათელს ჰყოფს უკრაინის იმ ფარულ მოძრაობას, რომელმაც სწორედ მაშინ იჩინა თავი, როდესაც ავსტრიელ-გერმანელებმა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე შემოტევა დაიწყეს.

„თავის დროზე,—ამბობს გაზეთი, კითხველის ყურადღება მივაპყარით იმ კავშირს, რომელიც არსებობდა უკრაინის სეპარატიულ მოძრაობის გაძლიერებასა და ავსტრიელ-გერმანელების სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე შემოტევის შორის. საუბედუროდ ჩვენი მაშინდელი წინთქმა ეხლა ფაქტებით მტკიცდება.

ერთის მხრით ჩვენ საქმე გვაქვს რუსის ჯარის ისეთ მდგომარეობასთან, რომელიც ძნელად თუ აიხსნება სხვა მოქანცვით, ვიდრე ბოლშევიკების მიერ ციმერვალდის იდეების პროპაგანდით. აქ უფრო მეტი რამ უნდა ემალებოდეს. მეორე მხრით—გ. ა. ალექსინსკის მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებული ახალი წერილობითი საბუთები იმის შესახებ, რომ გერმანელები პირდაპირ მონაწილეობას იღებდა უკრაინის მოძრაობის უკიდურეს ფორმის ორგანიზაციაში. ამასთან გამოირკვა რომ შეუმდგლად გერმანელთა და უკრაინელთ შორის ყოფილა „უკრაინელთა წადილის კავშირის“ დამაარსებელთაგანი სკორპის იოლტუხოვსკი. ეგი აპრილის შუა რიცხვებში ბერლინიდან გამოემგზავრა. მას შემდეგ, რაც ლენინის მონაწილეობით სოციალისტებს ბჭობა ჰქონდათ. მას დაევალა: უკრაინელებს შორის რუსეთიდან გაყოფის იდეის გაღვიძება, პროპაგანდა გაეწია რაც შეიძლება მალე ზავის ჩამოგდებისათვის და ამის წინააღმდეგე მინისტრების (გუჩკოვ-მილიუკოვის) გადასაყენებლად. დავალებულ საქმის გასაკეთებლად ფული იოლტუხოვსკისათვის (აგრეთვე ლენინისათვის) რუსის ბანკებზე ჩეკებით უნდა ეგზავნათ. „უკრაინის სურვილის კავშირი“ გრძნობდა რუსეთში რევოლუციის აუცილებლობას, და უკრაინაში მოსალოდნელ ოპერაციებისათვის გერმანეთის შტაბს ამზადებდა. ჯერ ისევ 1915 წ. ენკენისთვეს რეიხსტაგის დეპუტატს, ლონგინ ცეგელსკის „აღმოსავლეთში იმის დიდ პოლიტიკურ მიზნებზე და უკრაინელთა საკითხზე“ წიგნაკი დაბეჭდა. ამ წიგნაკში მოყვანილ რიცხვებით მტკიცდება, რომ რუსეთის დაუძლურება მხოლოდ პოლონეთისა, ლიტვის, კურლიანდიის და ფინლიანდიის ჩამოშორებით არ შეიძლება. გერმანეთის გზა ბერლინიდან ბაღდადს მხოლოდ მაშინ იქნება თავისუფალი და სრუტეების ხელში ჩაგდების სურვილს რუსეთი მხოლოდ მაშინ უარჰყოფს, როდესაც სამხრეთით დამოუკიდებელ უკრაინეთა სახელმწიფო დაარსდება იმ მიწყალზე, სადაც მთელი რუსეთის პურის 39 პროც. მოდის. მარილის— პროც., რკინისა და თამბაქოსი— პროც., ქვანახშირის 75 პროც. და შაქრის—80 პროცენტი. ცეგელსკი აგონებს გერმანელებს უკრაინის გაყოფის დიდი ხნის პროექტს (ბისმარკ—გარტმანისა 1888—1889 წ.) ამ პროექტით დამოუკიდებელ უკრაინის საზღვრები იწყება ასტრახანიდან, გადადის სარატოვზე, კურსკზე და ვიტებსკზე, საიდანაც პოლონეთის საზღვარი იწყებოდა. მაგრამ ამ პროექტისათვის ცეგელსკი მთავარ საფრთხეს ჰპოულობდა ვასილევსკის და სტუდნიცკის პოლონურ პროექტში, რომლის მიხედვით პოლშას უნდა მისცემოდა ვილნი, პოდოლია და ბელორუსია. ამიტომ იგი აფრთხილებდა გერმანეთს, რომ უკრაინელთა მხარე დაეჭირა და პოლონელებთან და რუსეთთან კავშირი არ შეეკრა.

ყოველივე ამას ჩვენ იმ ლაბორატორიაში შევყევართ, საიდანაც გამოტანილ იქმნა ციმერვალდის ფორმულა „ერთა თვითგამორკვევისა“ და რომელიც ასე გადაიქცა მეორე ფორმულას „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავის გამომხატველს. მომავალი ისტორიკოსი კი შესძლებს იმის დამტკიცებას, რომ ამ ორ ფორმულის სხვა და სხვაგვარი ნაწილები გერმანელ-ავსტრიელების აგენტებმა შეაწებეს ერთი ერთმანეთს. ეს ფორმულა ომის დაწყებამდის მზადდებოდა, და ინტერნაციონალისტ ლენინის ნაციონალურ თვითგამორკვევის მებრძოლად გარდაქცევა 1913 წლიდან იწყება, როცა გერმანია და ავსტრია გულმოდგინედ ეძებდენ მოკავშირეებს, ლატიშებსა, ლიტველებსა, უკრაინელებს, ქართველებსა და რუსეთის სხვა ერთა შორის ომის დროს რუსის სოციალისტებს სხვა და სხვა ეროვნებებთან უკვე კავშირი ჰქონდათ და მათი შვეიცარიაში მოქმედების შესწავლით შეგვეძლიან ამ მომზადების შემდეგ ეტაპებზე ვიმსჯელოთ. ცნობილია ეროვნების მიმართვა ვილსონისადმი, ეროვნებათა უფლებების დეკლარაცია და მეფისეულ რუსეთში სხვა და სხვა ეროვნების მდგომარეობის შესახებ რამდენიმე ენაზე დაბეჭდილი წიგნაკი—აი ის, რაც მოწმობს ამ მომზადებისთვის ენერგიულ მუშაობას. ამასთან ისიც მოვიგონოთ, რომ გერმანელები ფულს არ ზოგავდენ იმ პერიოდულ გამოცემებისათვის, რომელნიც ნაციონალურ პროპაგანდას ეწეოდნენ—აი ესეც მეორე შედეგი ჩვენი მტრების მუშაობისა.

რუსეთის რევოლუციამ პირველ ხანს იარაღი აჰყარა ცარიზმის მტრებს და „უკრაინის სურვილის კავშირმა“ რუსეთის წინაშე „ნეიტრალურად“ გამოაცხადა თავი. მაგრამ ეს „ნეიტრალობა“ სათუო იყო. „კავშირმა“ მორიგ საკითხად ომის ლიკვიდაცია და ყველა ეროვნებათათვის და მაშასადამე უკრაინელებისათვისაც თავიათ ბედის დამოუკიდებლად გარდაწყვეტა და სხვა ერებთან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ დამოკიდებულების მიხედვით დაჭერა აღიარა.

როგორც ვხედავთ, ეს ფორმულები მთლად ეთანხმებიან მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ მიღებულ ფორმულებს. და რა თქმა უნდა, რომ სკორპის—იოლტუხოვსკის ქადაგებანი კარგს ნიადაგს ჰპოებდა.

მოვიგონოთ აგრეთვე, რომ, როდესაც ბოლშევიკებმა საბჭოების ხელში მთელი უფლება-მოსილობის გადაცემა მოითხოვეს, ამასთან ყველა ეროვნებათა (რომლებიც როდისმე დაპყრეს და ან დიდ სახელმწიფოებში სცხოვრობენ) ფორმალურ „დეზანნექსია“-საც მოითხოვდნენ.

მთავრობის რადასთან შეთანხმება გვიჩვენებს, რომ საბჭოებისა და ბოლშევიკების მოთხოვნილებებმა სრულიად უნაყოფოდ არ ჩაიარეს. ჩვენ თავის დროზე ნათქვამი გვქონდა, რომ შეთანხმება, რომელზედაც წერეთელმა და ტერეშჩენკომ ხელი მოაწერეს ის თეთრი ქაღალდია, რომელზედაც უკრაინელებს ყოველივეს დაწერა შეუძლიანთ.

ჩვენი წინთქმა მართლდება: უკრაინელები სულ ახალ-ახალ სამინისტროებს იარსებენ თავისთვის.

თავის მხრივ უკრაინელებმა მიაღწიეს რა მიზნებს, სხვა ეროვნებათა წინაშე მოვალეობის გადუხდელად არ დაედგნენ. ეხლა ეროვნებათა ყრილობები ლოზანიდან სტუმართმოყვარე უკრაინაში იქნებიან გადატანილნი. ცენტრალ რადამ დაადგინა, რომ მკათათვემდე მოიწვიოს რუსეთის იმ ეროვნებათა ყრილობა, რომელნიც ავტონომიის ფედერაციისთვის იბრძვიან. ასეთნი არიან: ფინელები, პოლონელები, ესტონელები, ლატიშელები, ლიტველები, ბელორუსები, ქართველები, ებრაელები, თათრები, სომხები, ყალმიკები, ბაშკირები, თურქები, ზიოლები და სხ.

რადის დადგენილებით ყველა ამ ეროვნებათა ათ-ათი წარმომადგენელი უნდა გამოცხადდეს კიევში. ყრილობის პროგრამაში შეიტანეს მომავალ ფედერატიულ სახელმწიფოს მოწყობის საკითხებს, ავტონომიურ ერთეულებს შორის საზღვრების დადების საკითხებს და სხვა ამისთანებს.

ამ გვარად თანდათან მართლდება კადეტების წინასწარმეტყველება, რომ თუ უკრაინელებს ყოველივე მოთხოვნილება დავუთმეთ, ამას დანარჩენ ეროვნებათა ანალოგიური მოთხოვნილებანიც მოჰყვებიანო. მართლაც თუ მხედველობაში ვიქონიებთ კიევში დანიშნულ ეროვნებათა შესახებ ზემოდმოყვანილ ცნობას,—დამფუძნებელ კრებაზე ჩვენ ნაციონალურ მოთხოვნილებათა საერთო ფრონტთან გვექნება საქმე და შესაძლოა, რომ კვლავ ის ამბები განმეორდეს, რომლებსაც ავსტრიის რეიხსტაგში ჰქონდათ ხოლმე ადგილი.

არც თუ ახალი მთავრობა დარჩა ამ მოძრაობის გარეშე. კადეტების გასვლის თანავე მან შეადგინა საგანგებო კომისია, რომელსაც დამფუძნებელ კრებისათვის მომავალ რუსეთის ოლქობრივ მოწყობის გამომუშავება დაევალა. ამ კომისიას სათავეში უკრაინელი ჟურნალისტი მ. ა. სლავინსკი უდგას. სჩანს, რომ დროებითი მთავრობა მზადაა იკისროს იმის გადაწყვეტა, რაც ჩვენის აზრით არის დამფუძნებელ კრების საქმე. ჩვენ კიდევ შევურიგდებოდით იმ გარემოებას, რომ ცალკე პოლიტიკურ პარტიებს თავთავიანთ პროექტის შეტანა შეეძლოთ. მაგრამ ის კია რომ მთავრობას დამფუძნებელ კრებამდის რუსეთის მომავალ მოწყობის შესახებ უკვე შემუშავებული პროექტები შეჰონდეს,—ჩვენ გვგონია მთავრობის უფლების გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს სერიოზული კითხვები უკვე მეორე ხარისხოვნებად ითვლებიან შემდეგ ძირითად კითხვებთან: ვის ხელში იქნება კიევი, როდესაც იქ ეროვნებათა ყრილობა შესდგება? სად არიან უკრაინელთა პატრიოტული პოლკები, როდესაც მტერი რუსეთის უკრაინაში შეჭრას იმუქრება? შესძლებენ თუ არა თუნდაც იმ სამშობლოს დაცვას, რომლის შეგნება მთლად აღმოჰფხვრიათ გამოქცეულ რუსის პოლკებს? თუ უკრაინელები პოლონელთა მდგომარეობას ამჯობინებენ, იმ იმედით, რომ თავიანთი საქმეც გახადონ ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) საკითხათ და მიიღონ უფლება სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობისა? შეიძლება ამასაც მოვესწროთ. მაშინ გერმანელებს ყველა პლანები განხორციელებულათ უნდა ჩაითვალოს. ეს იქნება შედეგი ციმერვალდის ტაკტიკისა, რომელიც მოითხოვდა „ბურჟუაზიის შესუსტებას ჯარის დემოკრატიზაციით“.

# კორესპონდენცია

## როგორ არიგებენ შემწეობის ფულს

ს. სართიჭალაში ამ დღეებში ჯარის კაცთა ოჯახობათათვის უნდა დაერიგებინა აქაურ სარაიონო კომისარს შემწეობის ფული. ამისათვის ბ-ნმა კომისარმა შორეული სოფლებიდან დაიბარა ჯარის კაცთა ოჯახები 19 ივლისისათვის, მაგრამ თვითონ არ დახვდა მათ დანიშნულ ალაგას და ერთი დღე მათ ტყუილად გაატარებინა ამ მუშა ხელის სიძვირეში. ქალები მეორედ დაიბარეს 22 ივლისისათვის, მაგრამ ბ-ნი კომისარი არც ამ დღეს დახვდა მათ თავის დროზედ. იგი მობრძანდა შუადღის პირველ საათზე. ეს არაფერი, მაგრამ ბ-ნმა კომისარმა ფულის დარიგების დროს ჩაიდინა არა საკადრისი საქციელი, რაიც გამოიხატა იმაში, რომ ყოველივე ჯარის კაცის ოჯახს, რომელიც იღებდა 25 მანეთზე მეტს, ართმევდა ათ-ათ შაურს თავის ჯიბის სასარგებლოდ. (გასაკვირველია საქციელი ა. ქვათაძისა, რომელმაც სასტიკად დაჰგმო უჯარმელ გლეხთა ყრილობაზე ასეთივე საქციელი უჯარმელ გლეხის) ამასთანა საქციელი ნდობას უკარგავს ხალხს ახალ-მთავრობისადმი, მით უმეტეს, რომ ძველ დროსაც კი თვით მომრიგებელი შუამავალი დაიარებოდა სოფლებში „შემწეობის ფულის“ დასარიგებლად და არც რაიმე გადასახადს იღებდა.

გ.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.



## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 8, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგ. | № 19, | 8,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 8.20 | დილ. |
| „ | სამგ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |

ტფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ს.-ბორჯ. | სამგ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგ. | № 62, | 6.24 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

ქ უ თ ა ი ს ი

## თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა:

1) ს. რ. გორგაძე. კაზმულ სიტყვიერე ბითი ქრისტომატია ჩვენი ახალი მწერლობა. . . . . . . 3 მ. 10 შ.
2) ია. ეკალაძე. მოთხრობები მოსწავლეთათვის, წიგნი პირველი. — „ 50 „
3) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები, ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. . . . . . . . — 5 „

იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა:

1) გ. ყიფიანი. დაწყებითი ალგებრა (მესამე და მეოთხე კლასის კურსი).
2) პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია.
3) ს. რ. გორგაძის რედაქტორობით. წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა.
4) იპ. ვართაგავა. შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო.
5) მიხ. ზაალიშვილი. არა ორგანიული ბუნება (ბუნების მეტყველების პირველი კლასის კურსი).

მალე დაიწყება ბეჭდვა:

1) ალ. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა (პირვ. კლ. კურსი).
2) ს. გორგაძე. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა შესწორებით და დამატებით. მეხუთე საუკუნის მწერლობიდან.
3) ი. გომელაური. მოწაფის ჰიგიენა. მესამე გამოცემა.
4) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები. დათვსა და არჩვზე ნადირობა ქვაბის ფსკერაში.
5) მიხეილ. გარეულ ცხოველებზე ნადირობა. (10—718—1)



# სავალდებულო დადგენილება

## თბილისის გუბ. სასურსათო კომიტეტისა.

დროებით მთავრობის ამა წლის 30 მარტის დებულების მე-13 § თანახმათ, თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა: აღიკრძალოს თბილისის გუბერნიის საზღვრებში პურისა და ქერის ხორბლის კერძო პირთა მიერ ყიდვა-გაყიდვა და გატანა ამ ნაწარმოებისა იმ ადგილებიდან, სადაც მოდის. ყიდვა ამ ნაწარმოებისა დაევალოს ადგილობრივ სასურსათო კომიტეტს.

თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

თავმჯდომარე ნ. ჟ ელიავა.

მდივანი ა. პ. აზოვსკი

1—718--1



მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ სა პოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვარკველია.



## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12, ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებათ. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ. ევგენი იაკობის ძე გვაზავასთან.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კოიმიაშვილისა. 10—718—1

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან. 751

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი:

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხართუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან. 10—742—10



დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტონის ძე
**კალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს
**მანგლისში**
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ე ქ ი მ ი
**გ. ი. მაჩნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზუბალოვის ქ. № 4. (თ.—202—)

ე ქ ი მ ი
**ე. დ. შალამბერიძე**
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ე ქ ი მ ი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ხალისტაქრთ ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ე ქ ი მ ი
**გ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, შემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი კბილისა
**ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა:**
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ე ქ ი მ ი
**ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—4)

ე ქ ი მ ი
**გ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 86, მეორე სართული.

ე ქ ი მ ი
**გ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, კონსერვატორიის ძველი შენობის პირდაპირ, რაზიკაშვილის ქუჩა, № 19.

## საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსამსახურე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელაშვილი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს ათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—36



## კომიტეტი ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—10 კომიტეტი ქ. ს. კ.



თევზის მრეწველნი
ძმ. [illegible]
პუშკინის ქუჩა, სავაჭრო სახ., № 3, ტელეფონი № 715.

ყოველ დღე მიიღება საკუთარი და საუკეთესო სახ. [illegible] ახალი ქვირითის ხიზილალა, [illegible] ცოცხალი თევზი, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართა, [illegible] გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა სანერწყვის ფასებში. (წ.)